



მნიშვნელოვანი კრიტერიუმები მცირე პროექტების დაფინანსებისთვის

ორგანიზაცია:

- პროექტის შემომტანი უნდა იყოს არასამთავრობო ან სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას ეწევა;

პროექტი:

- პროექტმა რაეაგირება უნდა მოახდინოს მოსახლეობის კონკრეტულ რთულ მდგომარეობაზე და გააუმჯობესოს ღარიბი მოსახლეობის ძირითადი პირობები. საპროექტო განაცხადში ახსნილი უნდა იყოს ეს პუნქტი (რა სახით შეიტანს პროექტი წვლილს ამ საქმეში).
- დაფინანსება შესაძლებელია განსაკუთრებით შემდეგ სფეროებში: ინფრასტრუქტურა (ტრანსპორტი, წყალი, ენერჯია), შემოსავლისა და კვების გაუმჯობესება (სოფლის მეურნეობა), გარემოს დაცვა, ჯანდაცვა და სანიტარული მოწყობილობები, სასკოლო და პროფესიული განათლება.
- პროექტმა სარგებელი უნდა მოუტანოს ადამიანთა დიდ ჯგუფს;
- განმცხადებელმა ორგანიზაციამ ან/და ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც სარგებელს ნახულობს პროექტის ფარგლებში, საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს პროექტის განხორციელებაში, რაც არ გულისხმობს აუცილებლად ფინანსურ თანამონაწილეობას, არამედ პროექტში ჩართულობას ასევე სხვა ფორმით (მაგ. სამუშაო ძალის გამოყენება);
- პროექტს უნდა ჰქონდეს მდგრადი ხასიათი, ანუ დადებითი შედეგი მოჰყვება დასრულებიდან მინიმუმ ორი წლის განმავლობაში;

პერიოდი:

- პროექტი უნდა განხორციელდეს მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე (31.12.21), ე.ი. ანგარიშსწორებაც უნდა იყოს დასრულებული;
- ეს უნდა იყოს პროექტი, რომელიც ერთჯერადად დასრულდება;

დაფინანსება:

- განმცხადებელ ორგანიზაციას თავად არ აქვს პროექტის მთლიანად დაფინანსების შესაძლებლობა;
- გარანტირებული უნდა იყოს პროექტის სრული დაფინანსება (ე.ი. თუ სრული დაფინანსების მისაღწევად ასევე სხვა ორგანიზაციებშიც მოითხოვეთ ნაწილობრივი დაფინანსება, გარანტირებული უნდა გქონდეთ ამ დაფინანსების მიღება);
- პროექტის ფარგლებში შესაძენი საქონლის შესყიდვა როგორც წესი უნდა მოხდეს საქართველოში ან მეზობელ ქვეყნებში;
- განმცხადებელს უნდა შეეძლოს შესაძლო სამომავლო ხარჯების (მაგ. მიმდინარე ხარჯები) თავად დაფინანსება ან ჰქონეს მესამე მხარის (მაგ. გამგეობის) თანხმობა ამ ხარჯების დაფინანსებაზე.
- პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 10.000 ევროს ექვივალენტს ლარში. გამონაკლისის სახით შესაძლებელია საგრანტო დაფინანსებამ 25.000 ევროს ექვივალენტი ლარში შეადგინოს, იმ შემთხვევაში თუ პროექტიდან სარგებელს ნახულობს ადამიანთა ძალიან დიდი ჯგუფი.
- ჰონორარები პროექტის მენეჯერებისათვის და ყოველთვიურად წარმოშობილი მიმდინარე ხარჯები, მაგალითად კომუნალური ხარჯები, საელჩოს გრანტის თანხებიდან არ დაფინანსდება;

განცხადის შემოტანა:

- საპროექტო განაცხადის გამოგზავნა შესაძლებელია მეილის ფორმით გერმანულ, ინგლისურ და ქართულ ენებზე. გთხოვთ გამოიყენოთ განაცხადის თანდართული ფორმა, რომელსაც იხილავთ ჩვენს ვებ-გვერდზე.
- განაცხადს თან უნდა ერთვოდეს განსახორციელებელი პროექტის ხარჯთაღრიცხვა Word-ის ან Excel-ის ფორმატში, რომელშიც შეძლებისდაგვარად დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მოსალოდნელი ხარჯები (მაგალითად მშენებლობისას: ცემენტი ...ლარი, საღებავი ...ლარი, სამუშაო ... ლარი, და არა "მშენებლობა" ...ლარი);